

საქართველოს კანონი
საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 97¹ მუხლის პირველი ნაწილის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქუჩაში დატარების ფორმით წვრილ საცალო ვაჭრობას, გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვას ჯიხურებიდან ან ქუჩაში დადგმული სტენდებიდან/მაგიდებიდან – საქმიანობის ამ ნაწილში;“.

2. 281-ე მუხლის მე-6 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი